გიორგი ძიძიგური, ვახტანგ ღაღვიშვილი

კირილი და მეთოდიუსის უნივერსიტეტი ტრნავაში, სლოვაკეთი

სლოვაკეთის ქალაქ ტრნავაში, Erasmus+-ის პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აქტიურად მიიღეს მონაწილეობა პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კულტურულ და პროფესიულ აქტივობებში. პროგრამა მიზნად ისახავდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას.

ვიზიტის მსვლელობისას მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ კამპუს ტურებში, რომლის ფარგლებშიც მოინახულეს უნივერსიტეტის აკადემიური დაწესებულებები და სასწავლო გარემო. გარდა ამისა, სამუშაო შეხვედრებმა საშუალება მისცა ჩვენს პერსონალს კულტურული და პროფესიული ურთიერთობების დასამყარებლად ადმინისტრაციულ პერსონალთან.

ვიზიტმა არა მხოლოდ გააღრმავა ურთიერთობა უნივერსიტეტებს შორის, ასევე გაზარდა შესაძლებლობა სამომავლო თანამშრომლობებისთვის. ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ემსახურება Erasmus+ პროგრამის მისიას ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას და პროფესიულ განვითარებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.